# შპს საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიულ კოლეჯში პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა კონკურსის ფორმით შერჩევისა და ჩარიცხვის წესი

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესის და პირობების დამტკიცების შესახებ“ №71/ნ ბრძანებისა და საქართველოს უნივერსიტეტის პროფესიული კოლეჯის (შემდგომში - კოლეჯი) წესდების შესაბამისად და არეგულირებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა კონკურსის ფორმით შერჩევის წესსა და პროცედურას კოლეჯში.

## მუხლი 2. კონკურსში მონაწილეობის წინაპირობა

1. კოლეჯის მიერ ორგანიზებულ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში შესაბამისი პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრირებულ აპლიკანტს.

## მუხლი 3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის გამოცხადება

1. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაცია ცხადდება ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რომლის ადმინისტრირებასაც ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა.
2. კოლეჯი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას აცხადებს ღია ან დახურული წესით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.
3. ღია წესით რეგისტრაციის გამოცხადების შემთხვევაში ელექტრონულ სისტემაში განთავსებული ინფორმაცია საჯარო და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.
4. დახურული წესით რეგისტრაცია ცხადდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლეჯს აქვს ხელშეკრულება სხვა იურიდიულ პირთან ან ადმინისტრაციულ ორგანოსთან, რომლის ფარგლებშიც უნდა უზრუნველყოს პირთა გარკვეული წრის პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადება.
5. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე აპლიკანტთა რეგისტრაციის გამოცხადების მიზნით ელექტრონულ სისტემაში მიეთითება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №71/ნ ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული მონაცემები.
6. შესაძლებელია კოლეჯის მიერ ელექტრონულ სისტემაში ასახული ინფორმაცია შეიცვალოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღით ადრე. ცვლილების შესახებ აპლიკანტს ეცნობება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

## მუხლი 4. აპლიკანტთა რეგისტრაცია

1. აპლიკანტი პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციისათვის გადის ავტორიზაციას სპეციალურ ვებგვერდზე და რეგისტრირდება ელექტრონული განაცხადის მეშვეობით ან მიმართავს კოლეჯს, რომელიც რეგისტრაციას ახორციელებს ელექტრონული სისტემის გამოყენებით. რეგისტრაციის დახურული წესით

გამოცხადების შემთხვევაში, აპლიკანტთა პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაციას ახორციელებს კოლეჯი ელექტრონული სისტემის გამოყენებით.

2. ელექტრონულ სისტემაში ავტორიზაციის გავლის შემდეგ აპლიკანტი ირჩევს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამას/პროგრამას.
3. აპლიკანტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გააუქმოს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე რეგისტრაცია.

**მუხლი 5. კონკურსის ჩატარების ფორმა და საკონკურსო კომისია**

1. აპლიკანტთა შერჩევასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ წესის და შესაბამისი პროგრამით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.
2. აპლიკანტის შერჩევის პროცედურა პროგრამაზე დაშვების წინაპირობის მიხედვით შესაძლოა ითვალისწინებდეს ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთს ან მათ რომელიმე კომბინაციას:
   2.1 პროგრამით მოთხოვნილი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას;
   2.2 პროგრამისთვის შესაბამისი სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენას;
   2.3 ტესტირებას;
   2.4 პრაქტიკული მოსინჯვას;
   2.5 გასაუბრებას;
   2.6 შერჩევაში მონაწილე აპლიკანტთა ასაკობრივ ზღვარს.
3. პროფესიული მომზადების ან პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა გასაუბრების წესით შეფასების შემთხვევაში ხორციელდება შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, №1 დანართის შესაბამისად;
   3.1 მაქსიმალური საკონკურსო ქულა - 15 ქულა; მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 5 ქულა;
   3.2 კრიტერიუმებმა შესაძლოა განიცადოს ცვლილება პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
4. შერჩევის უზრუნველყოფის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტით იქმნება შერჩევის კომისია და განისაზღვრება კონკურსის ჩატარების თარიღი/თარიღები.
   4.1 შერჩევის კომისია შედგება არანაკლებ 3 წევრისაგან, რომლის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე და წევრ(ებ)ი. თუ პროგრამა ხორციელდება პარტნიორ კომპანიასთან/კომპანიებთან ერთად კომისიის შემადგენლობაში შესაძლოა შედიოდეს კომპანი(ებ)ის მინიმუმ ერთი წარმომადგენელი.
   4.2 შერჩევა ტარდება კოლეჯში, საამისოდ გამოყოფილ გარემოში ან სხვა ალტერნატიულ ფართში, პარტნიორებთან შეთანხმებით.
   4.3 შერჩევის შედეგები აისახება აპლიკანტთა შეფასების დანართი N2-ით გათვალისწინებულ ფორმასა და შესაბამის სხდომის ოქმში.
5. შერჩევის პროცედურის დაწყებამდე არანაკლებ 3 სამუშაო დღით ადრე, აპლიკანტს მიეწოდება ინფორმაცია შერჩევის პროცედურის შესახებ.
6. შერჩევის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში, კოლეჯი ელექტრონული სისტემის მეშვეობით, უზრუნველყოფს აპლიკანტისათვის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის უფლების მქონე პირის სტატუსის მინიჭებას.

**მუხლი 6. კონკურსში მონაწილე აპლიკანტთა უფლება- მოვალეობები**

1. აპლიკანტი უფლებამოსილია იცნობდეს შერჩევის კომისიის მისი შეფასების წესსა და პროცედურას;
2. კონკურსში მონაწილე აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს შერჩევაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.
3. ამ მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი კოლეჯის მიერ ორგანიზებულ შერჩევაზე არ დაიშვება.
4. შერჩევის დღეს შერჩევაზე გამოუცხადებლობა აპლიკანტს ართმევს უფლებას მოითხოვოს შერჩევის სხვა დღეს ჩატარება, გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად.

**მუხლი 7. მსმენელის სტატუსის მოპოვება**

1. ჩარიცხვის უფლების მქონე პირი ვალდებულია კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულ ვადაში წარადგინოს მსმენელის სტატუსის მოპოვების მიზნით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. ეს დოკუმენტებია:
   1.1 პირადი /კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს;
   1.2 პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
   1.3 1 ფერადი ფოტოსურათი ზომით 3x4-ზე;
   1.4 განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად (საბაზო/საშუალო/უმაღლესი საფეხურის ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი/განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო/საშუალო/უმაღლესი საფეხურის დაძლევის გარეშე.
   1.5 პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შესაძლოა მოთხოვნილ იქნეს დამატებით სხვა დოკუმენტი, რომელიც მიეთითება შესაბამის პროგრამაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოლეჯი უზრუნველყოფს ჩარიცხვის უფლების მქონე პირისთვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, რაც დასტურდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით და მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით.
3. ინფორმაცია მსმენელის სტატუსის მინიჭების შესახებ ელექტრონულ სისტემაში აისახება შესაბამის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლის დაწყებამდე.
4. ჩარიცხვის პროცესის დასრულების შემდეგ, თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში, კოლეჯი უფლებამოსილია დაუკავშირდეს იმ აპლიკანტებს, რომლებიც რეგისტრირებულნი იყვნენ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე, მაგრამ კონკურსის გამო ვერ მოხვდნენ ჩარიცხვის უფლების მქონე პირთა სიაში.
   4.1 კოლეჯის ამ კატეგორიის პირთათვის მსმენელის სტატუსის მინიჭებას, ხელშეკრულების გაფორმებას და ელექტრონულ სისტემაში ასახვას უზრუნველყოფს შესაბამის პროგრამაზე სწავლის დაწყებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში.
5. სტატუსშეწყვეტილმა პირმა, მსმენელის სტატუსის ხელახალი მოპოვების სურვილის შემთხვევაში პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა უნდა გაიაროს თავიდან.

**მუხლი 8. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის წესი**

1. შერჩევის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება სააპელაციო კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
2. კონკურსის ფარგლებში წარმოშობილი პრეტენზიების, მათ შორის პროცედურულ დარღვევებთან დაკავშირებული, განხილვის მიზნით, აპლიკანტმა წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს სააპელაციო კომისიას შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს მომდევნო დღისა.
3. სააპელაციო კომისიის მიერ მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილ ვადებში წარდგენილი განცხადება განხილული უნდა იქნას მისი წარდგენიდან არაუგვიანეს 1 დღის ვადაში.
4. სააპელაციო კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდეს კომისიის ის წევრი, რომელიც მონაწილეობას იღებდა შერჩევის პროცედურებში.

**დანართი #1**

**აპლიკანტებთან გასაუბრების შეფასების კრიტერიუმები პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე**

| **აპლიკანტთა შეფასების კრიტერიუმები** | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| N | **შეფასების კრიტერიუმები** | **შეფასების მეთოდი** | **ქულა** | | | |
| | | | 3 ძალიან კარგი | 2 კარგი | 1 დამაკმაყოფილებელი | 0 არადამაკმაყოფილებელი |
| 1 | მოტივაცია (ინტერესი პროფესიისადმი) | გასაუბრება | | | | |
| 2 | მზაობა ფიზიკური/გონებრივი შრომისათვის | გასაუბრება | | | | |
| 3 | ხედვა გუნდურ მუშაობასთან დაკავშირებით | გასაუბრება | | | | |
| 4 | სტრესულ გარემოში მუშაობის მზაობა | გასაუბრება | | | | |
| 5 | პროფესიასთან დაკავშირებული ცოდნა ან გამოცდილება | გასაუბრება | | | | |

**დანართი #2**

**შერჩევის კომისიის წევრის მიერ აპლიკანტებთან გასაუბრების შეფასების ფორმა პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე**

**პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამა**

_____

| N | აპლიკანტის სახელი და გვარი | შეფასების კრიტერიუმები | | | | | ქულათა ჯამი | რეიტინგი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |
| 1 | | | | | | | | | |
| 2 | | | | | | | | | |
| 3 | | | | | | | | | |
| 4 | | | | | | | | | |
| 5 | | | | | | | | | |
| 6 | | | | | | | | | |
| 7 | | | | | | | | | |
| 8 | | | | | | | | | |
| 9 | | | | | | | | | |
| 10 | | | | | | | | | |

**ინსტრუქცია:**

**თითოეული კრიტერიუმის მაქსიმალური შეფასება - 3 ქულა**

- **ძალიან კარგი (3 ქულა)**
- **კარგი (2 ქულა)**
- **დამაკმაყოფილებელი (1 ქულა)**
- **არადამაკმაყოფილებელი (0 ქულა)**

**კომისიის წევრის სახელი და გვარი:**

**ხელმოწერა:**